ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6672448

ნომერი: AR1988047

თარიღი : 06.09.2023

გაცემის თარიღი : 20.09.2023

გაცნობის თარიღი : 20.09.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალ. ქართველიშვილის N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის გამრეკელი პ/ნ 01008003148
- თბილისი დელისის ქ.7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. საჭიროა დააზუსტოთ საპროექტო შენობას ექნება თუ არა არსებულ შენობასთან კონსტრუქციული კავშირი.
იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო შენობას არსებულ შენობასთან არ გააჩნია კონსტრუქციული კავშირი, საჭიროა დაცული იქნას წარმოსახვითი საზღვარი არსებულ და საპროექტო შენობებს შორის.
ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო და არსებულ შენობებს გააჩნიათ კონსტრუქციული კავშირი, საჭიროა შეიცვალოს ნომენკლატურა და ახალი მშენებლობის ნაცვლად მიუთითოთ რეკონსტრუქცია.
აღნიშნულისთვის გიაქტიურდებათ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი.
2. ფუნქციური დანიშნულების ველში საჭიროა დააკონკრეტოთ რა სახის პროდუქციისთვის არის განკუთვნილი საპროექტო საწყობი.
საჭიროების შემთხვევაში საკითხი გადაიგზავნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში პოზიციის დასაფიქსირებლად.
3. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა -> სქემის ელექტრონული ფაილი.:
დამატებით წარმოადგინეთ სიმაღლის ანგარიში საპროექტო საკადასტრო საზღვრებიდან.
4. თქვენი განცხადება გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილი N: 60-01232633362 - 20.09.2023) პოზიციის დასაფიქსირებლად, აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული უწყებიდან პასუხის მიღებისთანავე ეს პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით.
5. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები - ინტერნეტ ქსელი, ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი და თბილისი ენერჯის გაზმომარაგების ქსელი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა საპროექტო ობიექტის, ხაზობრივი ნაგებობისა და დაშორების ზომების/მანძილების დატანით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.